# იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფელ ქაფანახჩის საბავშვო ბაღის დაარსების პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2016 წლის 26 აპრილს გაიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფელ ქაფანახჩიში საბავშვო ბაღის დაარსების პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. პროექტი ერთობლივად დაფინანსდა საქართველოში იაპონიის და პოლონეთის რესპუბლიკების საელჩოების მიერ. ცერემონიას დაესწრებიან იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ანჟეი ჩიეშკოვსკი, ქვემო ქართლის გუბერნატორი, ბატონი პაატა ხიზანიშვილი, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.
ზემოხსენებული პროექტის განმახორციელებელია არასამთავრობო ორგანიზაცია მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოება. პროექტის ფარგლებში მთლიანად გარემონტდა და სრულად აღიჭურვა სოფელ ქაფანახჩის საბავშვო ბაღის შენობა. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 66,089 ა.შ.შ. დოლარია.